



პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტის მიმოხილვა

(პირველი წარდგენა)

ოქტომბერი, 2016 წელი

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

2016 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....3

1. ფისკალური გარემო მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში.....7

 1.1. ძირითადი ფისკალური რისკები საშუალოვადიანი პერიოდისათვის.....7

 1.2. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები.....11

2. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლების მიმოხილვა 15

 2.1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები.....15

 2.2. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები20

 2.3. სახელმწიფო ვალდებულებების დინამიკა.....25

3. დანართები 1

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფისკალური გარემო მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში

- „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი ეყრდნობა ეკონომიკური გარემოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) წარმოდგენილ საბაზისო სცენარს 2017 წლისათვის: ეკონომიკური ზრდა 4%; ინფლაცია 4%. აღნიშნული სცენარის შემთხვევაში, მიმდინარე წელთან მიმართებაში 2017 წლისათვის მიმდინარე წელთან შედარებით გათვალისწინებულია ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 1.9%-ით და მიმდინარე ხარჯების - 4.7%-ით (396 მლნ ლარით) ზრდა, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის(ე.წ. კაპიტალური ხარჯები) მაჩვენებლის შემცირება 5.2%-ით(93 მლნ ლარით).
- პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, გასული წლის მსგავსად, საყურადღებოა მაკროეკონომიკური გარემოს განსხვავებული საშუალოვადიანი სცენარების შემთხვევაში მთავრობის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკის პასუხები. მაკროეკონომიკური გარემოს პოზიტიური სცენარით განვითარების შემთხვევაში, მთავრობის მიერ გათვალისწინებულია მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების საბაზისო სცენარის დონეზე შენარჩუნება და შესაბამისად, ბიუჯეტის დეფიციტის გაუმჯობესება. აღნიშნული, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით მოითხოვს მკაცრ ფისკალურ დისციპლინას, რაც შესაძლებელია რთულად განსახორციელებელი იყოს. რაც შეეხება მაკროეკონომიკური გარემოს პესიმისტური სცენარით განვითარებას, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის შემცირების მიუხედავად, მთავრობის მიერ გათვალისწინებულია ბიუჯეტის დეფიციტის საბაზისო დონეზე შენარჩუნება კაპიტალური ხარჯების შემცირების ხარჯზე, რამაც საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, შესაძლოა კიდევ უფრო უარყოფითად იმოქმედოს ეკონომიკურ აქტივობაზე საშუალოვადიან პერიოდში.
- რაც შეეხება ძირითადი ფისკალური ინდიკატორების დინამიკას, ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს საპროგნოზო მაჩვენებელი 2017 წლისათვის (GFSM 2001) მშპ-სთან მიმართებაში -1.9%-ს შეადგენს, და 2016 წლის მოსალოდნელ მაჩვენებელთან შედარებით (-1.1%) შემცირების(გაუარესების) ტენდენციას ავლენს. ანალოგიური დინამიკით ხასითდება მთლიანი ფისკალური ბალანსი, კერძოდ 2016 წლისათვის მოსალოდნელი მაჩვენებელი -3%-ს, ხოლო 2017 წლისათვის -3.7%-ს უტოლდება. მიუხედავად ამისა, 2017 წლისათვის ციკლურად კორექტირებული და სტრუქტურული ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით უცვლელია, ხოლო ციკლურად კორექტირებული და სტრუქტურული ბიუჯეტის ფისკალური ბალანსი გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2017 წლისთვის განსაზღვრულია 10,555 მლნ ლარის დონეზე, რაც 2016 წლის გეგმურ მაჩვენებელს აჭარბებს 410 მლნ ლარით(4%-ით). შემოსულობების აღნიშნული ზრდა უკავშირდება ერთი მხრივ, შემოსავლების 160 მლნ ოდენობით(საგადასახადო შემოსავლების 190 მლნ ლარით ზრდის გავლენით) და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების 385 მლნ ლარის ოდენობით ზრდას, ხოლო

მეორე მხრივ, არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების(მათ, შორის პრივატიზება) 135 მლნ ლარით(60%-ით) შემცირებას.

- გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტით შემოსავლების ზრდის მაჩვენებელი წინა ორი წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით შემცირების ტენდენციას ავლენს, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპის ანალოგიური დინამიკის გავლენით. კერძოდ, 2017 წლის კანონპროექტით შემოსავლების ზრდის ტემპი შეადგენს 1.9%-ს, მაშინ როდესაც 2015-2016წწ.-ებისათვის შემოსავლების ზრდის(ფაქტობრივი/მოსალოდნელი) ტემპი შესაბამისად, 9.9%-ს და 4.7%-ს უტოლდება. აღნიშნული დინამიკა ძირითადად უკავშირდება ერთი მხრივ, საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით 2016 წლიდან საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი სახის მიმართვას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში, ხოლო მეორე მხრივ, 2017 წლიდან საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების ამოქმედებას, რომლის საფუძველზეც დაიბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება.
- გადასახადების ცალკეული სახეებისათვის, 2017 წლის კანონპროექტით მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით ყველაზე მასშტაბური შემცირება გათვალისწინებულია მოგების გადასახადისათვის 457 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო საშემოსავლო გადასახადისათვის და დღგ-სათვის გათვალისწინებულია ზრდა შესაბამისად, 357 მლნ ლარის და 210 მლნ ლარის ოდენობით.
- რაც შეეხება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელ პროგნოზებთან შედარებას, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელი საპროგნოზო მაჩვენებელი მიმდინარე წლისათვის 120 მლნ ლარით, ხოლო 2017 წლისათვის კი - 309 მლნ ლარით ნაკლებია მთავრობის მიერ წარდგენილ პროგნოზზე. თუმცა საშუალოვადიანი პერიოდისათვის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზები უახლოვდება მთავრობის მიერ წარმოდგენილ პროგნოზებს. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით, კანონპროექტით წარდგენილი გეგმური მაჩვენებლების შედარება გადასახადების ცალკეული სახეებისათვის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელ პროგნოზებთან 2016 და 2017 წწ. სათვის არსებით განსხვავებას არ ავლენს, გარდა საშემოსავლო გადასახადისა. კერძოდ, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი 2017 წლისათვის 350 მლნ ლარით ნაკლებია კანონპროექტით წარმოდგენილ გეგმურ მაჩვენებელზე, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს ამავე გადასახადის მიმდინარე წლის მობილიზების განსხვავებულ შეფასებას: საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი ასევე 2016 წლისათვის 130 მლნ ლარით ნაკლებია 2016 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელზე (პსო-ს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო გადასახადის პროგნოზი ეყრდნობა დაშვებას, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებში საშემოსავლო გადასახადის სახით მიმართული სახსრები შენარჩუნდება 2015 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლის დონეზე (170 მლნ ლარი), ხოლო ადგ. თვითმმართველ ერთეულებში მიმართული სახსრები შენარჩუნდება 2016 წლის არსებული ფაქტობრივი მაჩვენებლის დონეზე (258 მლნ ლარი)). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2017 წლის პროექტით წარმოდგენილი საშემოსავლო გადასახადის პროგნოზი დამატებით განმარტებას საჭიროებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

- 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 10,555 მლნ ლარის დონეზე და 2016 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით გადასახდელების ზრდის ტემპი 4%-ს შეადგენს. გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში, ხარჯების ზრდის მაჩვენებელი 243 მლნ ლარს (2.8%-ს), ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების ზრდის მაჩვენებელი 102 მლნ ლარს (25.1%-ს), ხოლო ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელების ზრდის მაჩვენებელი 56 მლნ ლარს შეადგენს. რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს (ე.წ. კაპიტალური ხარჯები), აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის 2016 წლის დონეზეა შენარჩუნებული (ზრდა 8 მლნ ლარით, 1.1%-ით). მიმდინარე ხარჯების ზრდა ძირითადად უკავშირდება სოციალური უზრუნველყოფის და საქონლისა და მომსახურების მუხლით ხარჯების ზრდას.
- მხარჯავი დაწესებულებების დონეზე გადასახდელების მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით ყველაზე დიდი ოდენობით ზრდა (ნომინალური გამოსახულებაში) გათვალისწინებულია შემდეგი მხარჯავი დაწესებულებებისათვის: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (168 მლნ ლარით), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (136.4 მლნ ლარით), საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (73.2 მლნ ლარით), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (49.8 მლნ ლარით). ხოლო ყველაზე დიდი ოდენობით შემცირება შემდეგი მხარჯავი დაწესებულებებისათვის: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (83.2 მლნ ლარით), საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო (14 მლნ ლარით), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (10 მლნ ლარით), საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (7.8 მლნ ლარით).
- რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივ გადასახდელებს, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია ჯამური გეგმური მაჩვენებლის ზრდა 94.4 მლნ ლარით მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით. გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტით ასიგნებების ზრდა არაა გათვალისწინებული მთავრობის სარეზერვო ფონდისათვის ან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის, თუმცა მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით პროგრამებს შორის გადანაწილების საფუძველზე ასიგნებების ზრდა განხორციელდა ორივე ზემოაღნიშნული ფონდისათვის (კერძოდ, 2016 წლის კანონით, მთავრობის სარეზერვო ფონდის წლიური გეგმა 50 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, თუმცა 8 თვის მდგომარეობით, ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 155.1 მლნ ლარს, ხოლო საკასო შესრულება - 57.7 მლნ ლარს შეადგენს).

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებები

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები 2017 წლისათვის განსაზღვრულია 1,660 მლნ ლარის დონეზე, რაც 2016 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელზე 385 მლნ ლარით (30.2%) მეტია. საყურადღებოა, რომ 2016 წლის კანონით 2015 წელთან შედარებით გათვალისწინებულია ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების შემცირება 86.4 მლნ ლარით.

- კანონპროექტით წარმოდგენილი სახელმწიფო ვალის 2017 წლის საპროგნოზო ზღვრული მაჩვენებლის ფარდობა მშპ-სთან ნომინალური მშპ-ს BDD-ით წარმოდგენილ საპროგნოზო მაჩვენებლებთან მიმართებაში 2016 წლისათვის 42.3%-ს, ხოლო 2017 წლისათვის 42.1%-ს შეადგენს, თუმცა ამავე BDD-ში განსხვავებული მოსალოდნელი ფარდობითი მაჩვენებლებია წარმოდგენილი (39.9% და 40.8%, შესაბამისად). საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული უკავშირდება საპროგნოზო ზღვრული მოცულობის გაანგარიშებისას სხვადასხვა ვალუტებს შორის მოსალოდნელი გაცვლითი კურსების შეფასებას. თუმცა, მიზანშეწონილია დეტალურად განმარტებულ იქნას წარმოდგენილ მაჩვენებლებში სხვაობა.

1. ფისკალური გარემო მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში


ფისკალური გარემოს და ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს შესაბამისი პერიოდისათვის მაკროეკონომიკური გარემოს მოსალოდნელი განვითარებისა და მასთან დაკავშირებული რისკების ანალიზს, ხოლო მეორე მხრივ, ძირითადი ფისკალური ინდიკატორების მიმოხილვას ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასებისათვის. შესაბამისად, ანგარიშის პირველი ნაწილი მიმოხილავს აღნიშნულ საკითხებს.

1.1. ძირითადი ფისკალური რისკები საშუალოვადიან პერიოდისათვის

კონკრეტული წლის ფისკალური პოლიტიკის განსაზღვრის და შესაბამისად, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა მაკროეკონომიკური გარემოსა და მასთან დაკავშირებულ რისკებზე ფისკალური პოლიტიკის შესაძლო პასუხების ანალიზს - არა მხოლოდ შესაბამისი წლის, არამედ საშუალოვადიანი პერიოდისათვის.


2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენილი და ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები ეყრდნობა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) წარმოდგენილ საბაზისო სცენარს 2017 წლისათვის: ეკონომიკური ზრდა 4%; ინფლაცია 4%; იმპორტის ზრდა (8.1%) და 2016 წლისთვის ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის და იმპორტის ზრდის მოსალოდნელ მაჩვენებლებს, შესაბამისად 3%, 5.5%-ის და 4.2%-ის ოდენობით.

მაკროეკონომიკური გარემოსადმი მოლოდინების ცვლილების ანალიზისათვის პირველ რიგში, მიზანშეწონილია 2017-2020 წწ. BDD დოკუმენტის წარდგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები შევადაროთ ამავე დოკუმენტის პირველი ვერსიით(01.06.2016წ.) და 2016-2019წწ. BDD დოკუმენტის საბოლოო ვერსიით წარდგენილ პარამეტრებს საშუალოვადიანი პერიოდისათვის. როგორც დიაგრამებიდან ვლინდება, რომ თუ BDD დოკუმენტის წარდგენილი ვერსიით მოცემულია ეკონომიკური ზრდის უფრო კონსერვატიული სცენარი, ვიდრე ამავე დოკუმენტის წინა ვერსიებში. კერძოდ, თუ ზემოაღნიშნული საწყისი დოკუმენტებით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2017 წლისა და საშუალოვადიანი პერიოდისათვის 5.5%-ს შეადგენდა, წარდგენილი დოკუმენტით აღნიშნული მაჩვენებელი 4.0%-ს შეადგენს და 2020 წლისათვის ეტაპობრივად უახლოვდება 5.5%-იან ნიშნულს. რაც შეეხება სამოხმარებლო ფასების ინფლაციას, აღნიშნული მაჩვენებელი თავდაპირველი(მიმდინარე წლის დასაწყისსა და შუალედში წარდგენილი) პროგნოზებით, 2017 წლისათვის 5.0%-ს შეადგენდა, და ეტაპობრივად მცირდებოდა 4.0%-იან ნიშნულამდე 2019-2020 წლისათვის, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტით, წლიური ინფლაციის პროგნოზი 2017-2020 წლისათვის 4.0%-ს უტოლდება.



დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდის პროგნოზები ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის განსხვავებული ვერსიებით

ინფლაციის პროგნოზი საშუალოვადიანი პერიოდისათვის



დიაგრამა 2: ინფლაციის პროგნოზები ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის განსხვავებული ვერსიებით


რაც შეეხება საბაზისო სცენარისაგან განსხვავებულ განვითარებებს, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან ერთად, რომელიც ასახავს იმ საბაზისო სცენარს, რომელსაც ეყრდნობა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენილი და ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს თან ერთვის ინფორმაცია გამოყენებული საბაზისო მაკროეკონომიკურ დაშვებებთან დაკავშირებულ რისკებზე და აღნიშნული რისკების რეალიზაციის შემთხვევაში, საბიუჯეტო მაჩვენებლებზე მათი ზეგავლენისა და პოლიტიკის პასუხებზე, როგორც დასაგეგმი წლისათვის, ისე საშუალოვადიანი პერიოდში¹. შესაბამისად, ცალკეულ შესაძლო პოზიტიურ და ნეგატიურ ფაქტორებზე დაყრდნობით, გამოყოფილია შემდეგი სცენარები:

- **ოპტიმისტური სცენარი**, რომელიც ეყრდნობა 2017 წლისა და საშუალოვადიანი პერიოდისათვის საბაზისო სცენარზე მაღალ ეკონომიკურ ზრდას და მაღალ ინფლაციას (კერძოდ, ეკონომიკური ზრდა 5.4% და ინფლაცია 5.4%, 2017 წლისათვის), რაც გაზრდის ბიუჯეტში მობილიზებულ შემოსავლებს².
- **პესიმისტური სცენარი**, რომელიც ეყრდნობა 2017 წლისა და საშუალოვადიანი პერიოდისათვის საბაზისო სცენარზე დაბალ ეკონომიკურ ზრდას და დაბალ ინფლაციას (კერძოდ, ეკონომიკური ზრდა 2.6% და ინფლაცია 2.6%, 2017 წლისათვის), რაც შეამცირებს ბიუჯეტში მობილიზებულ შემოსავლებს (იხ. ცხრილი 1)³.


¹ საერთაშორისო პრაქტიკით, ფისკალური რისკი განიმარტება, როგორც ფისკალური აგრეგატების გადახრები იმ მოსალოდნელი მაჩვენებლებისაგან, რომლებიც განისაზღვრა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ან ფისკალური პროგნოზების ფორმირებისას. ფისკალური რისკების ძირითად წყაროდ გამოყოფენ მაკროეკონომიკური ცვლადების მოულოდნელ ცვლილებას და სახელმწიფოს პირობით ვალდებულებებს. რიგ შემთხვევებში ფისკალური რისკების გაუთვალისწინებლობა, მაგალითად, მაკროეკონომიკური გარემოს მოულოდნელი განვითარების შედეგად სახელმწიფოს დამატებითი დანახარჯები, ან გადახრები შემოსავლების მოსალოდნელი დონიდან, იწვევს სახელმწიფოს ვალდებულებების ზრდას, რეფინანსირების სიძნელებებს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მოკლე და საშუალოვადიანი ფისკალურ მდგრადობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევაზე დაყრდნობით, ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა/გამჭვირვალობა პოზიტიურ კავშირშია ქვეყნის სუვერენულ საკრედიტო რეიტინგთან და მის წვდომასთან საერთაშორისო კაპიტალურ ბაზრებზე (Ter-Minassian T., 2008, „Fiscal Risks—Sources, Disclosure, and Management“, IMF Working Paper, (Washington, DC: International Monetary Fund).

² აღნიშნული სცენარი გულისხმობს მაკროეკონომიკური გარემოს პოზიტიური განვითარების შენარჩუნებას მთელი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში.


³ აღნიშნული სცენარი გულისხმობს მაკროეკონომიკური გარემოს ნეგატიური განვითარების შენარჩუნებას მთელი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში.




დიაგრამა 3: ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და გადასახდელი განსხვავებული სცენარებით 2017 წლისათვის (მლნ ლარი)



დიაგრამა 4: ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და გადასახდელი განსხვავებული სცენარებით 2020 წლისათვის (მლნ ლარი)



დიაგრამა 5: ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო და ვალდებულებების ზრდა განსხვავებული სცენარებით 2017 წლისათვის (მლნ ლარი)



დიაგრამა 6: ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო და ვალდებულებების ზრდა განსხვავებული სცენარებით 2020 წლისათვის (მლნ ლარი)

რაც შეეხება შესაბამისი სცენარებისათვის საბიუჯეტო აგრეგატების მოსალოდნელ ცვლილებას და მთავრობის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკის პასუხებს (იხ. დიაგრამები 3-6):

- **საბაზისო სცენარის შემთხვევაში**, 2017 წლისათვის მიმდინარე წელთან შედარებით გათვალისწინებულია ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობის ზრდა 1.9%-ით, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების ზრდა - 4.7%-ით(396 მლნ ლარით) და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლის შემცირება 5.2%-ით(93 მლნ ლარით). ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო განსაზღვრულია -1.9%-ის დონეზე მშპ-სთან მიმართებაში. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) მასშტაბური ზრდა წლიურად საშუალოდ 14.5%-იანი ზრდის ტემპით და ასევე მიმდინარე ხარჯების გაზრდაც (2016 წელთან შედარებით 2020 წლისათვის გათვალისწინებულია მიმდინარე ხარჯების ზრდა 20%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) ზრდა 43%-ით).
- **პოზიტიური სცენარის შემთხვევაში**, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2016 წლისათვის 191 მლნ-ით იზრდება საბაზისოსთან შედარებით. აღნიშნულის პასუხად, წარმოდგენილი სცენარით არაა გათვალისწინებული მიმდინარე ან ე.წ. კაპიტალური ხარჯების ზრდა. ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები კვლავ განსაზღვრულია საბაზისო სცენარის დონეზე და თანხის დაგროვება მოხდება დეპოზიტზე ეროვნულ ბანკში. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ცვლილებები საბაზისო სცენარს უტოლდება, კერძოდ, 2015 წელთან შედარებით 2019 წლისათვის გათვალისწინებულია მიმდინარე ხარჯების ზრდა 27%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) ზრდა 49%-ით.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, საყურადღებოა, რომ ოპტიმისტური სცენარით გათვალისწინებული ფისკალური პოლიტიკის პასუხები, კერძოდ, მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების სტაბილურობის შენარჩუნება ბიუჯეტის დეფიციტის გაუმჯობესებისათვის მოითხოვს მკაცრ ფისკალურ დისციპლინას, რაც შესაძლებელია რთულად განსახორციელებელი იყოს.

- ნეგატიური სცენარის შემთხვევაში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი საბაზისოსთან შედარებით 2017 წლისათვის 190 მლნ ლარით მცირდება. აღნიშნულ სცენარში მთავრობის პოლიტიკის პასუხად წარმოდგენილია ბიუჯეტის დეფიციტის ნომინალური სიდიდის შენარჩუნება და ამისათვის 2017 წლისათვის გათვალისწინებულია საბაზისოსთან შედარებით კაპიტალური ხარჯების ასევე 190 მლნ ლარით შემცირება და მიმდინარე ხარჯების იმავე დონეზე შენარჩუნება. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) შემცირება, ხოლო მიმდინარე ხარჯები გაიზრდება საბაზისო სცენარის დონეზე (2016 წელთან შედარებით 2020 წლისათვის გათვალისწინებულია მიმდინარე ხარჯების ზრდა 19.7%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) შემცირება 13.6%-ით).


პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მაკროეკონომიკური გარემოს პესიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში გათვალისწინებული პოლიტიკის პასუხები, კერძოდ, ეკონომიკური ზრდის შენელების პასუხად კაპიტალური ხარჯების მასშტაბური შემცირება შესაძლებელია კიდევ უფრო უარყოფითად იმოქმედოს ეკონომიკურ აქტივობაზე საშუალოვადიან პერიოდში.

1.2. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები

რაც შეეხება კონკრეტული პერიოდისათვის საბიუჯეტო(ფისკალური) პოლიტიკის ანალიზს, პირველი საკითხი მისი მიმართულების- მასტიმულირებელი(ექსპანსიური) თუ შემზღუდველი - შეფასებაა. ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს გადასახადების შემცირების ან ხარჯვითი ნაწილის ზრდის მეშვეობით დეფიციტის ზრდას, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას ეკონომიკის სტიმულირებისათვის. საპირისპირო მიმართულებას გულისხმობს შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკა. საერთაშორისო პრაქტიკით, მთავრობის მიერ განხორციელებული ფისკალური ღონისძიებების ძირითადი მიმართულებებისა და ეკონომიკურ გარემოზე ზეგავლენის შესაფასებლად გამოიყენება განსხვავებული ფისკალური ინდიკატორები (ფისკალურ ინდიკატორებთან დაკავშირებით იხ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ფისკალური გარემოს მიმოხილვა, ივნისი, 2015). ხაზგასასმელია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული ნაერთი ბიუჯეტის და არა სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებს. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული მაჩვენებლები ინფორმაციული ხასიათისაა და არ მტკიცდება პარლამენტის მიერ (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 38, პუნქტი 8).

პირველ რიგში, ფისკალური ინდიკატორები მოიცავს ბიუჯეტის მთლიან სალდოს მაჩვენებელს, რომელიც არსებული კანონმდებლობით გაიანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს (GFSM 2001) მიხედვით. ამასთანავე საყურადღებოა განხილულ იქნას მთლიანი ფისკალური ბალანსის მაჩვენებელი, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკით ეკონომიკური ანალიზისათვის უფრო აქტიურად გამოიყენება. მთლიანი ფისკალური ბალანსი წარმოადგენს ბიუჯეტის მთლიანი სალდოს, კორექტირებულს ოპერაციების რეკლასიფიკაციით⁴. აღნიშნული ინდიკატორების დინამიკა წარმოდგენილია დიაგრამაზე 7. როგორც დიაგრამა 7-დან ჩანს, 2017 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის ბალანსის (GFSM 2001) მაჩვენებელი შემცირების ტენდენციას ავლენს და მშპ-თან მიმართებაში -1.9%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ბიუჯეტის კანონის მიხედვით ანალოგიური მაჩვენებელი -1.3%-ს უტოლდებოდა. აღნიშნული გაუარესება ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლების კლებასა და ხარჯების ზრდასთან. კერძოდ, 2017 წლის ბიუჯეტის კანონპროექტს თანდართული ინფორმაციის მიხედვით ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობა 2017 წლისათვის 549 მლნ ლარით ნაკლებია 2016 წლის ბიუჯეტის კანონს თანდართული მონაცემებით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო ხარჯები 41 მლნ ლარით მეტი. რაც შეეხება ფისკალური ბალანსის მოცულობას, 2017 წლისათვის ფისკალური ბალანსის მოცულობაც შემცირებულია -3.7% ის დონემდე.

⁴ ბიუჯეტის ბალანსთან დაკავშირებით იხ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მეთოდოლოგიური განმარტება ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშების შესახებ




დიაგრამა 7: ბიუჯეტის ბალანსი %-ულად მშპ-სთან

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ბალანსის ზემოთ წარმოდგენილი მაჩვენებლები მოიცავს როგორც ეკონომიკური ციკლის (გამოშვების გაპის) ზეგავლენას ფისკალურ გარემოზე (ავტომატური ფისკალური სტაბილიზატორების გავლენით), ისე მთავრობის დისკრეციულ ფისკალურ ღონისძიებებს. შესაბამისად, სრულყოფილი სურათის მისაღებად მიზანშეწონილია აღნიშნული კომპონენტების გამიჯვნა. დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შესაფასებლად გამოიყენება ციკლურად კორექტირებული ბალანსის და სტრუქტურული ბალანსის მაჩვენებლების გამოყენება, რომლებიც ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლისაგან ამორიცხავს ეკონომიკური ციკლის გავლენას. აქვე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ციკლის ეტაპი ფასდება რეალური მშპ-ს გადახრით მისი პოტენციური დონიდან (გამოშვების გაპი), რომელიც პირდაპირ დაკვირვებას არ ექვემდებარება და სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდებით გაანგარიშებული მისი მოცულობა ასახავს ეკონომიკური ციკლის ეტაპის ზოგად მიმართულებას⁵. გასათვალისწინებელია, რომ ბიუჯეტის დეფიციტის ციკლურად კორექტირებისას ამორიცხება მხოლოდ გამოშვების გაპის ცვლილებასთან დაკავშირებული დროებითი ფაქტორების ანუ ეკონომიკური გარემოს გავლენა. ხოლო სტრუქტურული ბალანსი ასევე ამორიცხავს შემოსავლებისა და გადასახადების ერთჯერად, დროებით კომპონენტებს, რათა წარმოდგენილი მაჩვენებელი ასახავდეს დისკრეციული გადაწყვეტილებების საფუძველზე მიღებულ ბიუჯეტის ბალანსს, დროებითი ფაქტორების გავლენის გამორიცხვით. აქვე აღსანიშნავია, რომ დროებითი ფაქტორების ამორიცხვა სპეციფიკურია ქვეყნის ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურის მიხედვით, შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტების შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა პარლამენტის საბიუჯეტო


⁵ გამოშვების გაპის შესახებ იხ. საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია „გამოშვების გაპი: არსი და შეფასება“

ოფისის ანალიტიკოსთა სუბიექტურ განსჯას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია GFSM 2001 კლასიფიკაციის საფუძველზე გაანგარიშებული ციკლურად კორექტირებული ბიუჯეტის ბალანსის და სტრუქტურული ბიუჯეტის ბალანსის დინამიკა. როგორც დიაგრამა 8-დან ჩანს, 2017 წლის ბიუჯეტის კანონს თანდართული ნაერთი ბიუჯეტით 2017 წლისათვის ციკლურად კორექტირებული ბიუჯეტის ბალანსის და სტრუქტურული ბალანსის მაჩვენებლები 2016 წლის დონეზეა შენარჩუნებული და, შესაბამისად, -0.3%-ს და -0.5%-ს შეადგენს. ხოლო 2017 წლისათვის ციკლურად კორექტირებული ფისკალური ბალანსისა და სტრუქტურული ფისკალური ბალანსის მოცულობა გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს და, შესაბამისად, -2%-ს და 2.2%-ს უტოლდება (იხ დიაგრამა 9).



დიაგრამა 8: ბიუჯეტის ბალანსი (%-ულად პოტენციურ მშპ-სთან)



დიაგრამა 9: ბიუჯეტის ფისკალური ბალანსი (%-ულად პოტენციურ მშპ-სთან)


აქვე უნდა აღინიშნოს რომ ზემოაღნიშნული ინდიკატორების დინამიკა ყურადსაღებია არა მხოლოდ საბიუჯეტო პოლიტიკის მიმართულებით, არამედ მისი მიზანშეწონილობის შეფასებისათვის ეკონომიკური ციკლის არსებული ეტაპის გათვალისწინებით. ეკონომიკური ციკლის ეტაპი, როგორც უკვე აღინიშნა, ფასდება რეალური მშპ-ს გადახრით მისი პოტენციური დონიდან(გამოშვების გაპი). მაგალითად, ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას და პირიქით, შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკის

განხორციელებას ეკონომიკური ბუმისას ანტიციკლურ ფისკალურ პოლიტიკად მოიხსენიებენ, რამდენადაც ასეთ დროს ფისკალური პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკური ციკლის გავლენის განეიტრალებას ეკონომიკაზე(იხ. დიაგრამა 10). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორების ზემოაღნიშნული დინამიკა 2017 წელს უარყოფითი გამოშვების გაპის ზრდის პარალელურად შესაძლოა მიაწინებდეს ნეიტრალურ(GFSM 2001 კლასიფიკაციის საფუძველზე) ან პროციკლურ დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკაზე(ფისკალური ბალანსის საფუძველზე).

		გამოშვების გაპი (მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრა)	
		უარყოფითი (გაუარესება)	დადებითი (გაუმჯობესება)
ფისკალური ბალანსის ცვლილება	დადებითი (გაუმჯობესება)	პრო-ციკლური საბიუჯეტო (ფისკალური) პოლიტიკა	ანტი-ციკლური საბიუჯეტო (ფისკალური) პოლიტიკა
	უარყოფითი (გაუარესება)	ანტი-ციკლური საბიუჯეტო (ფისკალური) პოლიტიკა	პრო-ციკლური საბიუჯეტო (ფისკალური) პოლიტიკა

დიაგრამა 10: გამოშვების გაპისა და ფისკალური ბალანსის დამოკიდებულება

აქვე საინტერესოა, ბიუჯეტის ფისკალური ბალანსის ციკლური და დისკრეციული გავლენის დინამიკა. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან იზრდება ნეგატიური ციკლური გავლენა, ხოლო მცირდება ნეგატიური დისკრეციული გავლენა.



დიაგრამა 11: ფისკალური ბალანსი კომპონენტების დონეზე (%-ულად პოტენციურ მშპ-სთან)

2. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლების მიმოხილვა

2.1. ფსახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2017 წლისთვის განსაზღვრულია 10,555 მლნ ლარის დონეზე, რაც 2016 წლის გეგმურ მაჩვენებელს აჭარბებს 410 მლნ ლარით(4%-ით). აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წლისათვის(გასულ წელთან შედარებით) 255 მლნ ლარს(3%-ს) შეადგენს.

დასახელება	2015 წ.	2016 წ. გეგმა	8 თვე, 2016 წ.	8 თვე წლიურ გეგმასთან 2016 წ.	2017 პროექტი (I)	2017 პროექტი (I) / 2016 გეგმა	
						სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	9,890	10,145	6,258	222%	10,555	410	4.0%
შემოსავლები	8,170	8,555	5,469	64%	8,715	160	2%
გადასახადები	7,550	7,980	5,178	65%	8,170	190	2%
გრანტები	316	255	121	48%	265	10	4%
სხვა შემოსავლები	305	320	170	53%	280	-40	-13%
არაფინანსური აქტივების კლება	287	225	139	62%	90	-135	-60%
ფინანსური აქტივების კლება	72	90	43	48%	90	0	0%
ვალდებულებების ზრდა	1,361	1,275	607	48%	1,660	385	30%
საგარეო	1,047	1,075	399	37%	1,360	285	27%
საშინაო	315	200	209	104%	300	100	50%

ცხრილი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2014-2017 წლებში (მლნ ლარი)

კანონპროექტის გათვალისწინებული შემოსულობების მაჩვენებლის ზრდის წარმოდგენილი ტემპი უკავშირდება ერთი მხრივ, შემოსავლების 160 მლნ ოდენობით(საგადასახადო შემოსავლების 190 მლნ ლარით ზრდის გავლენით) და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების 385 მლნ ლარის ოდენობით ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, არაფინანსური აქტივების კლების(მათ შორის, პრივატიზების) წლიური გეგმის 135 მლნ ლარით(60%-ით) შემცირებას. ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მაჩვენებლის ზრდა თავის მხრივ ითვალისწინებს საგარეო და საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების ზრდას შესაბამისად, 285 მლნ ლარითა და 100 მლნ ლარით. ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (სესხების დაფარვით მიღებული სახსრები) განსაზღვრულია მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონის დონეზე, 90 მლნ ლარის ოდენობით, თუმცა აქვე საყურადღებოა, რომ 2016 წლის 8 თვის მდგომარეობით, აღნიშნული მუხლით შემოსულობების (ფინანსური აქტივების ზრდა)შესრულება წლიური გეგმური მოცულობის მხოლოდ 48%-ს შეადგენს.

რაც შეეხება შემოსავლებს, შემოსავლების (შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს) საპროგნოზო სიდიდე 2016 წლის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 160 მლნ ლარით და შეადგენს 8,715 მლნ ლარს, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების 190 მლნ ლარის ოდენობით ზრდის გავლენით. გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტით შემოსავლების ზრდის მაჩვენებელი წინა ორი წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით შემცირების ტენდენციას ავლენს, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპის ანალოგიური ტენდენციის გავლენით. კერძოდ, 2017 წლის კანონპროექტით შემოსავლების ზრდის ტემპი შეადგენს 1.9%-ს, მაშინ როდესაც 2015-2016წწ.-ებისათვის

შემოსავლების ზრდის(ფაქტობრივი/მოსალოდნელი) ტემპი შესაბამისად, 9.9%-ს და 4.7%-ს უტოლდება. აღნიშნული დინამიკა ძირითადად უკავშირდება ერთი მხრივ, საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით 2016 წლიდან საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი სახის მიმართვას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში, ხოლო მეორე მხრივ, 2017 წლიდან საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების ამოქმედებას, რომლის საფუძველზეც დაიბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება.

2.1.1. საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა ნაერთი ბიუჯეტით წარმოდგენილი მაჩვენებლების შედარება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დამოუკიდებელი საპროგნოზო მაჩვენებლებთან. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი მიმდინარე წლისათვის 120 მლნ ლარით ნაკლებია წარდგენილ პროგნოზზე, ხოლო 2017 წლისათვის კი- 309 მლნ ლარით, საშუალოვადიანი პერიოდისათვის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზები უახლოვდება მთავრობის მიერ წარმოდგენილ პროგნოზებს. გასათვალისწინებელია, რომ 2017 წლისათვის გადასახადებში წარდგენილი სხვაობა მხოლოდ მცირედით შეიძლება აიხსნას მოგების გადასახადის განხორციელებული რეფორმის მოსალოდნელი გავლენის განსხვავებული შეფასებით, და სავარაუდოდ უკავშირდება მიმდინარე წელს მაკროეკონომიკური გარემოსა და შესაბამისად საგადასახადო შემოსავლების განსხვავებულ მოსალოდნელ მაჩვენებლებს. კერძოდ, საგადასახადო შემოსავლების მთავრობის მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლები ეყრდნობა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) წარმოდგენილ ეკონომიკურ პარამეტრებს: ეკონომიკური ზრდა 4%; ინფლაცია 4%. ამასთან, 2016 წლისთვის ეკონომიკური ზრდის და ინფლაციის მოსალოდნელ მაჩვენებლებს, შესაბამისად, 3%-ის და 5.5%-ის ოდენობით. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზები კი თავის მხრივ ეყრდნობა ეკონომიკური პარამეტრების დამოუკიდებელ პროგნოზებს: ეკონომიკური ზრდა 4.6%, რაც მცირედით აღემატება ანალოგიური პერიოდისათვის მთავრობის მიერ წარმოდგენილ პროგნოზს და ინფლაცია 3.7%. ამასთან, 2016 წლისთვის ეკონომიკური ზრდის და ინფლაციის მოსალოდნელ მაჩვენებლებს, შესაბამისად 3.2%-ის და 4%-ის ოდენობით.

	2015	2016	2017	2018	2019	2020
	ფაქტ.	მოსალ.	პროგ.	პროგ.	პროგ.	პროგ.
საგადასახადო შემოსავლები(საბიუჯეტო ოფისი)	8,011	8,565	8,541	9,583	10,553	11,406
საგადასახადო შემოსავლები(მთავრობა)	8,011	8,685	8,850	9,650	10,470	11,450
სხვაობა	0	-120	-309	-67	83	-44
პირდაპირი გადასახადები(საბიუჯეტო ოფისი)	3,565	3,687	3,304	3,903	4,379	4,824
პირდაპირი გადასახადები(მთავრობა)	3565	3791	3667	3859	4152	4504
სხვაობა	0	-104	-363	44	227	320
არაპირდაპირი გადასახადები(საბიუჯეტო ოფისი)	4,445	4,878	5,237	5,680	6,174	6,583
არაპირდაპირი გადასახადები(მთავრობა)	4,445	4,894	5,183	5,791	6,318	6,946
სხვაობა	0	-16	54	-111	-144	-363

ცხრილი 3: ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები 2015-2020 წლებში (მლნ ლარი)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილ მაჩვენებლებს, საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი **8,170 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 2016 წლისათვის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 2.4%-ით აღემატება.** გადასახადების ცალკეული სახეებისათვის, 2017 წლის კანონპროექტით მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით ყველაზე მასშტაბური შემცირება გათვალისწინებულია მოგების გადასახადისათვის 457 მლნ ლარის

ოდენობით(47%-ით), ხოლო საშემოსავლო გადასახადისათვის და დღგ-სათვის გათვალისწინებულია ზრდა შესაბამისად, 357 მლნ ლარის და 210 მლნ ლარის ოდენობით. მოგების გადასახადის პროგნოზის შემცირება განპირობებულია მოგების გადასახადის რეფორმით, რომლის შედეგადაც 2017 წლიდან დაიბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება (იხ. ცხრილი 4).

	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი	2017 წ. პროექტი / 2016 წ. გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
საგადასახადო შემოსავლები	7,549.6	7,980.0	8,170.0	190.0	2.4%
საშემოსავლო გადასახადი	2,052.4	2,086.0	2,439.0	353.0	16.9%
მოგების გადასახადი	1,025.2	980.0	523.0	-457.0	-46.6%
დამატებითი ღირებულების გადასახადი	3,505.5	3,802.0	4,012.0	210.0	5.5%
აქციზი	870.7	1,012.0	1,085.0	73.0	7.2%
იმპორტის გადასახადი	69.3	75.0	86.0	11.0	14.7%
სხვა გადასახადები	26.5	25.0	25.0	0.0	0.0%

ცხრილი 4: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2015-2017 (მლნ ლარი, %)

	საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი						
	2010-2011წწ	2011-2012წწ	2012-2013წწ	2013-2014წწ	2014-2015წწ	2015-2016წწ*	2016-2017წწ*
						გეგმა	პროექტი
საგადასახადო შემოსავლები	26.3%	8.8%	-0.4%	10.9%*	8.2%	5.7%	2.4%
საშემოსავლო გადასახადი*	28.6%	13.7%	9.7%	6.9%*	7.0%	1.6%**	16.9%**
მოგების გადასახადი	44.5%	2.3%	-5.2%	2.8%	23.7%	-4.4%**	-46.6%**
დამატებული ღირებულების გადასახადი	26.4%	9.2%	-6.3%	15.8%	6.3%	8.5%**	5.5%**
აქციზი	9.7%	7.2%	9.5%	12.2%	7.5%	16.2%**	7.2%**
იმპორტის გადასახადი	32.4%	-3.4%	-0.8%	6.2%	-27.0%	8.2%**	14.7%**
სხვა გადასახადები	-40.4%	-10.3%	-26.2%	-9.1%	9.8%	-5.7%**	0.0%**

ცხრილი 5: საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი (% , 2010-2017 წწ)

* საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებისათვის ხაზინის შესაბამის ქვეანგარიშზე გადატანილი სახსრები (სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულმა სახსრებმა ჯამში 128.3 მლნ შეადგინა).

** 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული სახსრების ზრდის ტემპის შემცირება განპირობებულია საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, რომლის თანახმად საშემოსავლო გადასახადის

მთელი რიგი სახეობებიდან მიღებული შემოსავლები 2016 წლიდან მიმართება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში. მიმდინარე წელს აღნიშნული მიმართულებით მიმართული სახსრები დაახლოებით 258 მლნ ლარს შეადგენს, თუ აღნიშნულს გავითვალისწინებთ საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას როგორც მიმდინარე ისე 2017 წელს, მაშინ ამ ეტაპისთვის მაჩვენებელი დაახლოებით 14%-ით არის გაზრდილი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო 2017 წლისთვის დაგეგმილი ზრდა დაახლოებით 15%-ს გაუტოლდება.

გადასახადების სახეობის მიხედვით, ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილი მაჩვენებლების შედარებით საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელ პროგნოზებთან 2016 და 2017 წწ.სათვის არსებითი განსხვავება არ ვლინდება, გარდა საშემოსავლო გადასახადისა. როგორც ცხრილი #3-დან ჩანს, კერძოდ, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი 2017 წლისათვის 350 მლნ ლარით ნაკლებია კანონპროექტით წარმოდგენილ გეგმურ მაჩვენებელზე, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს ამავე გადასახადის მიმდინარე წლის მობილიზების განსხვავებულ შეფასებას: საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი ასევე 2016 წლისათვის 130 მლნ ლარით ნაკლებია 2016 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელზე (პსო-ს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო გადასახადის პროგნოზი ეყრდნობა დაშვებას, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებში საშემოსავლო გადასახადის სახით მიმართული სახსრები შენარჩუნდება 2015 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლის დონეზე (170 მლნ ლარი), ხოლო ადგ. თვითმმართველ ერთეულებში მიმართული სახსრები შენარჩუნდება 2016 წლის არსებული ფაქტობრივი მაჩვენებლის დონეზე (258 მლნ ლარი)). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2017 წლის პროექტით წარმოდგენილი საშემოსავლო გადასახადის პროგნოზი დამატებით განმარტებას საჭიროებს.

	2016 წელი		პსო-ს საპროგნოზო მაჩვენებლების გადახრა ბიუჯეტის გეგმისგან	2017 წელი		პსო-ს საპროგნოზო მაჩვენებლების გადახრა ბიუჯეტის გეგმისგან
	ბიუჯეტის კანონი	საპროგნოზო მაჩვენებლები (პსო)		პროექტი (პირველი წარდგენა)	საპროგნოზო მაჩვენებლები (პსო)	
საგადასახადო შემოსავლები	7,980	7,873	-107	8,170	7,819	-351
საშემოსავლო გადასახადი	2,086	1,956*	-130	2,439	2,089*	-350
მოგების გადასახადი	980	1014	34	523	468	-55
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,802	3,787	-15	4,012	4,046	34
აქციზი	1,012	1,002	-10	1,085	1094	9
იმპორტის გადასახადი	75	89	14	86	97	11
სხვა გადასახადები	25	25	0	25	25	0

ცხრილი 6: საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი საბაზისო სცენარით (მლნ ლარი, 2017 წელი)

* სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო გადასახადის პროგნოზი ეყრდნობა დაშვებას, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებში საშემოსავლო გადასახადის სახით მიმართული სახსრები შენარჩუნდება 2015 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლის დონეზე (170 მლნ ლარი), ხოლო ადგ. თვითმმართველ ერთეულებში მიმართული სახსრები შენარჩუნდება 2016 წლის არსებული ფაქტობრივი მაჩვენებლის დონეზე (258 მლნ ლარი)

** მოგების გადასახადის პროგნოზი ითვალისწინებთ, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებას, რომლის მიხედვითაც რეფორმის შედეგად მოგების გადასახადის სახით მიღებული შემოსავლები 2017 წლისათვის დაახლოებით 550 მლნ ლარით შემცირდება.

2.1.2. შემოსულობების სხვა კომპონენტები

წარმოდგენილი კანონპროექტით, სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა მიმდინარე წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით მცირდება 40 მლნ ლარით (12.5%-ით) და შეადგენს 280 მლნ ლარს. ცვლილება ძირითადად ეხება შერეულ და არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს, რომლის გეგმური მოცულობაც მცირდება 38 მლნ ლარით (35%-ით) და 70 მლნ ლარით არის განისაზღვრული (მიმდინარე წლის 8 თვეში ამ მიმართულებით ბიუჯეტში მიღებულია წლიური გეგმური მაჩვენებლის 32%), რასთან დაკავშირებითაც განმარტება წარმოდგენილი არ არის.

	2015 წელი შესრულება	2016 წელი გეგმა	2017 წელი პროექტი	2017 წ. პროექტი / 2016 წ. გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
სხვა შემოსავლები	305.3	320.0	280.0	-40.0	-12.5%
შემოსავლები საკუთრებიდან	69.6	64.5	62.4	-2.1	-3.3%
პროცენტები	46.9	50.0	46.0	-4.0	-8.0%
დივიდენდები	0.4	2.5	1.4	-1.1	-44.0%
რენტა	22.3	12.0	15.0	3.0	25.0%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	76.3	75.9	80.7	4.8	6.3%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	71.9	70.8	76.7	5.9	8.3%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	4.4	5.1	4.0	-1.1	-21.6%
საჩქციები (ჯარიმები და საურავები)	63.5	70.0	65.0	-5.0	-7.1%
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	25.5	2.4	2.3	-0.1	-4.2%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	70.4	107.2	69.6	-37.6	-35.1%

ცხრილი 6: სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2015-2017 წლებში (მლნ ლარი)

რაც შეეხება შემოსულობების სხვა კომპონენტებს, არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი, წარმოდგენილი კანონპროექტით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით მცირდება 135.0 მლნ ლარით (60%-ით) და შეადგენს 90 მლნ ლარს. შემცირება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან, ძირითადად მობილური ოპერატორების მეოთხე თაობის ლიცენზიების გაყიდვიდან მისაღებ შემოსულობებთან, რომლის გეგმური მაჩვენებელი მცირდება 120 მლნ ლარით. აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან ხორციელდება მობილური ოპერატორების მეოთხე თაობის ლიცენზიების გაყიდვა. ამ მიმართულებით 2015 წელს ბიუჯეტში ჩაირიცხა 182 მლნ ლარი, 2016 წელს დაგეგმილია 150 მლნ ლარის მიღება (8 თვეში უკვე მიღებულია 113 მლნ ლარი), ხოლო 2017 წელს აღნიშნული თანხების საპროგნოზო სიდიდე 30 მლნ ლარს უტოლდება. გარდა ამისა, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მისაღები შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი მცირდება 15 მლნ

ლარით, 58.0 მლნ ლარამდე (მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით, აღნიშნული შემოსულობების შესრულება წლიური გეგმის 35%-ს შეადგენს), ხოლო მიწის რეალიზაციიდან შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 2016 წლის გეგმური მაჩვენებლის დონეზე (2.0 მლნ ლარი).

	2015 წელი შესრულება	2016 წელი გეგმა	2017 წელი პროექტი	2017 წ. პროექტი / 2016 წ. გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
არაფინანსური აქტივების კლება	287.3	225.0	90.0	-135.0	-60.0%
ძირითადი აქტივები	102.5	73.0	58.0	-15.0	-20.5%
არაწარმოებული აქტივები	184.9	152.0	32.0	-120.0	-78.9%
მიწა	3.1	2.0	2.0	0.0	0.0%
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	181.7	150.0	30.0	-120.0	-80.0%

ცხრილი 7: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან 2015-2017 წლებში (მლნ ლარი)

2.2. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ანალიზისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი კომპონენტების დინამიკის ანალიზი, რამდენადაც საბიუჯეტო პოლიტიკის ეკონომიკური გავლენა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გამოყენებულ ფისკალურ ინსტრუმენტზე, ვინაიდან მთავრობის მოხმარებისა (შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება) და ინვესტიციების (არაფინანსური აქტივების ზრდა) გავლენა რეალურ მშპ-ზე განხვავდება, როგორც მასშტაბის ისე ხანგრძლივობის მიხედვით.

როგორც წარმოდგენილი მონაცემებით ვლინდება, საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი კანონპროექტს თანდართული 2017-2020 წწ. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები 8 881 მლნ. ლარს უტოლდება და 2016 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 369 მლნ ლარით აღემატება, მათ შორის სახელმწიფო მოხმარების (შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება) ზრდის მაჩვენებელი 195 მლნ. ლარს შეადგენს. ამავდროულად, მცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (ე.წ. კაპიტალური ხარჯები), რომლის საპროგნოზო მოცულობა 1 680 მლნ. ლარს უტოლდება და 2016 წლის მოსალოდნელ მაჩვენებელზე 93 მლნ. ლარით ნაკლებია. ჯამურად, 2017 წლისათვის სახელმწიფო ინვესტიციების საპროგნოზო მოცულობა (არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდა) 2 235 მლნ. ლარს უტოლდება და 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1%-ით(27 მლნ. ლარით) აღემატება.

რაც შეეხება აღნიშნული მაჩვენებლების დინამიკას მშპ-სთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია რომ 2016 წლის მოსალოდნელ მაჩვენებლებთან შედარებით სახელმწიფო ინვესტიციები (%-ულად მშპ-სთან), კლების ტენდენციას ავლენს და 2017 წლისათვის 6.4%-იდან 6.1%-მდე მცირდება, ხოლო სახელმწიფო მოხმარების მაჩვენებელი (%-ულად მშპ-სთან) უცვლელია და 2017 წლისთვის 8.5%-ს უტოლდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინვესტიციების კლება ძირითადად უკავშირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (%-ულად მშპ-სთან) შემცირების ტენდენციას: აღნიშნული


მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებაში 0.6%-ული პუნქტით მცირდება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

	2015 წელი ფაქტი	2016 წელი გეგმა	2017 წელი პროექტი (I წარდგენა)	2017 წ. პროექტი/2016 წ. გეგმა სხვაობა	2017 წ. პროექტი/ 2016 წ. გეგმა ზრდის ტემპი
ხარჯები	7883	8485	8881	396	4.67%
სახელმწიფო მოხმარება	2805	2910	3105	195	6.70%
შრომის ანაზღაურება	1602	1670	1743	73	4.37%
საქონელი და მომსახურება	1203	1240	1362	122	9.84%
სახელმწიფო ინვესტიციები	2282	2208	2235	27	1.22%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1776	1773	1680	-93	-5.25%
ფინანსური აქტივების ზრდა	506	435	555	120	27.59%

ცხრილი 8 : ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლები (მლნ ლარი: 2015-2017 წწ.)

	2015 წელი ფაქტი	2016 წელი გეგმა	2017 წელი პროექტი (I წარდგენა)	2017 წ. პროექტი/2016 წ. გეგმა სხვაობა	2017 წ. პროექტი/ 2016 წ. გეგმა ზრდის ტემპი
ხარჯები (%-ულად მშპ-სთან)	24.9%	24.6%	24.3%	-0.4%	-1.52%
სახელმწიფო მოხმარება	8.9%	8.5%	8.5%	0.0%	0.40%
შრომის ანაზღაურება	5.1%	4.8%	4.8%	-0.1%	-1.80%
საქონელი და მომსახურება	3.8%	3.6%	3.7%	0.1%	3.35%
სახელმწიფო ინვესტიციები	7.2%	6.4%	6.1%	-0.3%	-4.76%
არაფინანსური აქტივების ზრდა	5.6%	5.1%	4.6%	-0.6%	-10.84%
ფინანსური აქტივების ზრდა	1.6%	1.3%	1.5%	0.3%	20.05%

ცხრილი 9: ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლები %-ულად მშპ-სთან (%-2015-2017 წწ.)



დიაგრამა 12: სახელმწიფო მოხმარებისა და ინვესტიციების დინამიკა (%-ულად მშპ-სთან); (2012-2017 წწ.)

გადასახდელების კომპოზიციის ზემოთაღნიშნული ტენდენცია საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, კვარტალურ მონაცემებზე დაყრდნობით, სახელმწიფო მოხმარების ზრდის გავლენა მშპ-ზე პირველ კვარტალში საკმაოდ მაღალია, თუმცა შემდგომი პერიოდიდან მნიშვნელოვნად მცირდება. მართალია, სახელმწიფო ინვესტიციების მულტიპლიკატორი პირველ კვარტალში შედარებით დაბალია, თუმცა შემდგომი პერიოდიდან ზრდის ტენდენციას ავლენს და სახელმწიფო მოხმარების მულტიპლიკატორთან შედარებით არსებითად მაღალია (დეტალურად, იხ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პუბლიკაცია „ფისკალური მულტიპლიკატორის არსი და შეფასება“).

გავლენა მშპ-ზე	I წელი				II წელი			
	კვარტალი I	კვარტალი II	კვარტალი III	კვარტალი IV	კვარტალი I	კვარტალი II	კვარტალი III	კვარტალი IV
სახელმწიფო მოხმარების ცვლილება	0.7	0.3	0.3	0.1	-0.1	-0.01	0.1	0.01
სახელმწიფო ინვესტიციების ცვლილება	0.5	0.3	0.5	0.7	0.7	0.6	0.6	0.6

ცხრილი 10: ფისკალური მულტიპლიკატორების დინამიკა (კვარტალური მონაცემები - 1996 წ. I კვარტალი -2015 წ. IV კვარტალი)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებს, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 10,555 მლნ ლარის დონეზე და 2016 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით გადასახდელების ზრდის ტემპი 4%-ს შეადგენს. გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში, მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით გათვალისწინებულია ზრდა გადასახდელების ყველა კომპონენტისთვის. კერძოდ, ხარჯების ზრდის მაჩვენებელი 243 მლნ ლარს (2.8%-ით), ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების ზრდის მაჩვენებელი 102 მლნ ლარსა (25.1%-ს), ხოლო ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელების ზრდის მაჩვენებელი 56 მლნ ლარს შეადგენს. რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს, აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის 2016 წლის დონეზეა შენარჩუნებული (ზრდა 8 მლნ ლარით, 1.1%-ით). ხარჯების ზრდა ძირითადად უკავშირდება სოციალური უზრუნველყოფის (166 მლნ ლარით, რაც ნაწილობრივ დაკავშირებულია სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი ხარჯების ზრდასთან) და საქონლისა და მომსახურების მუხლით (68 მლნ ლარით) ხარჯების ზრდას. ასევე გათვალისწინებულია სუბსიდიებისა (36 მლნ ლარით) და გრანტების (32 მლნ ლარით) მუხლით ხარჯების ზრდა. შემცირებულია პროცენტისა (23 მლნ. ლარით) და სხვა ხარჯების (35 მლნ. ლარით) მუხლით ხარჯების მოცულობა. უმნიშვნელოდ, თუმცა ასევე შემცირებულია შრომის ანაზღაურების (0.5 მლნ ლარით) მუხლით ხარჯები.

	2015 წელი ფაქტი	2016 წელი გეგმა	8 თვე 2016 წ.	8 თვე შესრულება	2017 წელი პროექტი (I წარდგენა)	2017 წ. პროექტი/2016 წ. გეგმა სხვაობა	2017 წ. პროექტი/2016 წ. გეგმა %-ული ცვლილება
გადასახდელები	9,703	10,145	6,426.4	63.3%	10,555	410	4.0%
ხარჯები	8,158	8,543	5,507	64.5%	8,787	243	2.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	680	750	371	49.5%	758	8	1.1%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	445	407	291	71.5%	509	102	25.1%
ვალდებულებების კლება	420	444	257	57.8%	500	56	12.6%

ცხრილი 11: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2014-2016 წლებში (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების განაწილებას მხარჯავი დაწესებულებების დონეზე, წარმოდგენილი კანონპროექტით ასიგნებების ზრდა შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელებსა და ცალკეულ მხარჯავ დაწესებულებებს. მხარჯავი დაწესებულებების დონეზე გადასახდელების

მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით ყველაზე დიდი ოდენობით ზრდა(ნომინალური გამოსახულებაში) გათვალისწინებულია შემდეგი მხარჯავი დაწესებულებებისათვის: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო(168 მლნ ლარით), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო(136.4 მლნ ლარით), საქართველოს თავდაცვის სამინისტრო(73.2 მლნ ლარით), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო(49.8 მლნ ლარით). ხოლო ყველაზე დიდი ოდენობით შემცირება შემდეგი მხარჯავი დაწესებულებებისათვის: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო(83.2 მლნ ლარით), საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო(14 მლნ ლარით), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო(10 მლნ ლარით), საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო(7.8 მლნ ლარით). ქვემოთ წარმოდგენილია ის მხარჯავი დაწესებულებები, რომელთათვისაც კანონპროექტით მიმდინარე წლის კანონთან შედარებით გათვალისწინებულია ასიგნებების ყველაზე მეტად ზრდა/შემცირება (ნომინალურ გამოსახულებაში თანხის მოცულობის მიხედვით).

დასახელება		2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი	2017 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი	2017 პროექტი/ 2016 გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,162,000	3,330,000	168,000	5.3%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	950,000	1,086,400	136,400	14.4%
62 00	საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	1,957,745	2,052,099	94,354	4.8%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	670,000	743,200	73,200	10.9%
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	975,190	1,025,000	49,810	5.1%
60 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	100,000	110,000	10,000	10.0%
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	90,000	98,275	8,275	9.2%
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	44,100	47,513	3,413	7.7%
09 00	საერთო სასამართლოები	52,000	55,000	3,000	5.8%

ცხრილი 12: 10 მხარჯავი დაწესებულება, რომელთათვის გათვალისწინებულია ასიგნებების ზრდა 2016 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით (ათასი ლარი)

დასახელება		2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი	2017 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი	2017 პროექტი/ 2016 გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	321,350	238,140	(83,210)	-25.9%
36 00	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	135,000	121,000	(14,000)	-10.4%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	595,000	585,000	(10,000)	-1.7%
27 00	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	153,800	146,000	(7,800)	-5.1%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	90,000	85,000	(5,000)	-5.6%

26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	70,528	65,600	(4,928)	-7.0%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	110,000	105,600	(4,400)	-4.0%
38 00	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	42,100	37,950	(4,150)	-9.9%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	20,000	17,000	(3,000)	-15.0%
54 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7,450	5,350	(2,100)	-28.2%

ცხრილი 13: 7 მხარჯავი დაწესებულება, რომელთათვის გათვალისწინებულია ასიგნებების შემცირება 2016 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით. (ათასი ლარი)

რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივ გადასახდელებს, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული ტიპის გადასახდელების გეგმური მაჩვენებლის ზრდა 94.4 მლნ ლარით მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით, რაც ძირითადად უკავშირდება დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელების 48 მლნ ლარით, ავტ. რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების 23 მლნ ლარითა და საშინაო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის 25 მლნ ლარით ზრდას.

	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი პროექტი	2017 წ. პროექტი/2016 წ. გეგმა	
	ფაქტი	გეგმა		სხვაობა ცვლილება	%-ული
საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2,014.0	1,957.7	2,052.1	94.4	4.8%
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	543.8	628.7	635.0	6.3	1.0%
საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	187.2	240.0	265.0	25.0	10.4%
ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	1,242.4	621.7	645.0	23.3	3.7%
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	4.7	5.0	5.0	0.0	0.0%
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	167.9	50.0	50.0	0.0	0.0%
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	399.6	280.0	280.0	0.0	0.0%
მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი		20.0	20.0	0.0	0.0%
დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები	25.2	52.8	100.8	48.1	91.1%

ცხრილი 14: საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (მლნ ლარი)

საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელებთან მიმართებაში გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტით მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით ასიგნებების ზრდა არაა გათვალისწინებული მთავრობის სარეზერვო ფონდისათვის ან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის, თუმცა მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით, გადანაწილების საფუძველზე, ორივე ზემოაღნიშნული ფონდისათვის მოხდა ასიგნებების ზრდა. კერძოდ, მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებების ზრდა განხორციელდა მხარჯავი დაწესებულებების მიერ

გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის ნაწილისა⁶ და სხვადასხვა პროგრამული კოდებისათვის განსაზღვრული ასიგნებების შემცირების ხარჯზე⁷. ჯამურად, 2016 წლის 8 თვის მდგომარეობით, ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 155.1 მლნ ლარს, ხოლო საკასო შესრულება - 57.7 მლნ ლარს და წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმის(50 მლნ ლარი) 115%-ს შეადგენს. ანალოგიურად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებების ზრდა განხორციელდა საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების⁸ და სხვადასხვა პროგრამული კოდებისათვის განსაზღვრული ასიგნებების შემცირების ხარჯზე⁹. ჯამურად, 2016 წლის 8 თვის მდგომარეობით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 314 მლნ ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა 156.9 მლნ ლარი და კანონით განსაზღვრული წლიური გეგმის 56% შეადგინა.

2.3. სახელმწიფო ვალდებულებების დინამიკა

საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები განსაზღვრულია 1,660 მლნ ლარის დონეზე, რაც 2016 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელზე 385 მლნ ლარით (30.2%) მეტია. აღნიშნული ერთი მხრივ უკავშირდება საშინაო ვალდებულებების (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) წმინდა ზრდის მომატებას 100 მლნ ლარით და საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების გაზრდას 285 მლნ ლარით. საყურადღებოა, რომ 2016 წლის კანონით გასული წელთან შედარებით გათვალისწინებულია ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების შემცირება 86.4 მლნ ლარით.

	2016 წ. გეგმა	2016 წ. 8 თვე	2016 წ. გეგმა	2016 წ. 8 თვე/ 2016 წ. გეგმა	2017 წ. პროექტი (I)	2017 წ. პროექტი (I) / 2016 წ. გეგმა	
						ცვლილება	%-ული ცვლილება
საგარეო	1,047	399	1,075	37.1%	1,360	285	26.5%
საშინაო	315	209	200	104.3%	300	100	50.0%
ვალდებულებების ზრდა	1,361	607	1,275	47.6%	1,660	385	30.2%

ცხრილი 15: სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდის არსებული მდგომარეობა და 2017 წლის პროექტი (მლნ ლარი)

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) 300 მლნ ლარის ოდენობით, რაც 100 მლნ ლარით მეტია მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით საშინაო

⁶ საქართველოს მთავრობის განკარგულებით N824 (16 მაისი) და N1566 (2 აგვისტო) შესაბამისად, 18 მლნ ლარის და 22.8 მლნ ლარის ოდენობით

⁷ მათ შორის, საქართველოს მთავრობის განკარგულებით N1585 (3 აგვისტო), საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების 80 მლნ ლარის ოდენობით შემცირებით

⁸ საქართველოს მთავრობის განკარგულება N1405 (14 ივლისი), 15 მლნ ლარი

⁹ საქართველოს მთავრობის განკარგულება N1585 (3 აგვისტო), 20 მლნ ლარი

ვალდებულებების დაგეგმილი ზრდა შეადგენს 1,155 მლნ ლარს, ხოლო საშინაო ვალდებულებების კლება მოხდება 890 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაფარვა მოხდება 855 მლნ ლარის ოდენობით და სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვა (სებ-ის მიმართ ვალი¹⁰) 35 მლნ ლარის ოდენობით. შესაბამისად, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად საშინაო ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრება არა უმეტეს 300 მლნ ლარის ოდენობის წმინდა ზრდით.

საშინაო ვალდებულებების ცვლილება						
	2016 წ. გეგმა	2016 წ. 8 თვე შესრულება	2016 წ. 8 თვე შესრულება /2016 წ. გეგმა	2017 წ. პროექტი	2017 წ. პროექტი / 2016 წ. გეგმა	
					ცვლილება	%-ული ცვლილება
საშინაო ვალდებულებების ზრდა	200	209	104.3%	300	100	50.0%
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	200	209	104.3%	300	100	50.0%
საშინაო ვალდებულებების კლება	84	37	44.0%	85	0.8	1.0%
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	35	18	51.4%	35	0	0.0%
სესხები	0.35	0.97	276.2%	0.08	-0.27	-77.1%
სხვა კრედიტორული დავალიანებები	49	18	37.0%	50	1.1	2.3%

ცხრილი 16: საშინაო ვალდებულებების არსებული მდგომარეობა 2016 წლის 8 თვის მდგომარეობით და 2017 წ. ბიუჯეტის პროექტი (I) (მლნ ლარი).


რაც შეეხება სახელმწიფო ვალის ნაშთს, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით მისი საპროგნოზო ზღვრული მოცულობა განსაზღვრულია 15,403 მლნ ლარის ოდენობით (აშშ/ლარი გაცვლითი კურსი 2.3), რაც მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელს 827 მლნ ლარით აჭარბებს. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ვალის ზემოაღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებლის ფარდობა მშპ-სთან ნომინალური მშპ-ს BDD-ით წარმოდგენილ საპროგნოზო მაჩვენებლებთან მიმართებაში 2016 წლისათვის 42.3%-ს, ხოლო 2017 წლისათვის 42.1%-ს შეადგენს, თუმცა ამავე BDD-ში განსხვავებული მოსალოდნელი ფარდობითი მაჩვენებლებია წარმოდგენილი (იხ. ცხრილი). საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული უკავშირდება საპროგნოზო ზღვრული მოცულობის გაანგარიშებისას სხვადასხვა ვალუტებს შორის მოსალოდნელი გაცვლითი კურსების შეფასებას. თუმცა, მიზანშეწონილია დეტალურად განმარტებულ იქნას წარმოდგენილ მაჩვენებლებში სხვაობა.

	2016	2017
სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა	14575.5	15403.1
ნომინალური მშპ(BDD, საბაზისო სცენარი)	34437.6	36600.1
სახელმწიფო ვალი %-ულად მშპ-სთან	42.3%	42.1%
სახელმწიფო ვალი %-ულად მშპ-სთან(BDD, საბაზისო სცენარი)	39.9%	40.8%

ცხრილი 17: სახელმწიფო ვალის ნაშთი (მლნ ლარი)

¹⁰ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად.

რაც შეეხება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებას, ვალის წარმოდგენილი მაჩვენებლებისა და ნომინალური მშპ-ს განსხვავებული პროგნოზების გათვალისწინებით, სახელმწიფო ვალის მშპ-სთან ფარდობა საბიუჯეტო ოფისის შეფასებით მიმდინარე წლისათვის 42.5%-ს, ხოლო 2017 წლისათვის - 40.9%-ს შეადგენს(იხ. დიაგრამა 13).



დიაგრამა 13: სახელმწიფო ვალის ფარდობა მშპ-ს განსხვავებული პროგნოზებისათვის(%-ულად მშპ-სთან) (2016-2017 წწ)

3. დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2013 ფაქტი	2014 ფაქტი	2015 გეგმა	2015 ფაქტი	2016 გეგმა	2017 პროექტი (I)	2017 პროექტი (I) / 2016 გეგმა		2017 პროექტი (I) / 2015 ფაქტი	
							სხვაობა	პროცენტული ცვლილება	სხვაობა	პროცენტული ცვლილება
შემოსავლები	6,839.5	7,434.6	7,950.9	8,170.5	8,555.0	8,715.0	160.0	1.9%	544.5	6.7%
გადასახადები	6,287.7	6,847.0	7,400.0	7,549.6	7,980.0	8,170.0	190.0	2.4%	620.4	8.2%
გრანტები	238.9	278.7	255.9	315.6	255.0	265.0	10.0	3.9%	-50.6	-16.0%
სხვა შემოსავლები	312.9	308.9	295.0	305.3	320.0	280.0	-40.0	-12.5%	-25.3	-8.3%
ხარჯები	6,545.6	7,479.4	8,016.6	8,158.0	8,543.6	8,787.0	243.5	2.8%	629.0	7.7%
შრომის ანაზღაურება	1,187.6	1,296.2	1,381.4	1,376.8	1,443.3	1,442.8	-0.5	0.0%	66.0	4.8%
საქონელი და მომსახურება	765.8	875.4	939.8	946.2	1,037.5	1,105.6	68.1	6.6%	159.4	16.8%
პროცენტი	233.0	244.8	377.1	326.6	473.8	450.0	-23.7	-5.0%	123.4	37.8%
სუბსიდიები	242.6	274.5	240.3	245.7	264.5	300.4	36.0	13.6%	54.7	22.3%
გრანტები	1,083.3	1,067.7	1,257.5	1,271.3	960.9	993.3	32.4	3.4%	-278.1	-21.9%
სოციალური უზრუნველყოფა	2,083.0	2,547.7	2,687.6	2,802.4	3,057.0	3,223.4	166.4	5.4%	421.0	15.0%
სხვა ხარჯები	950.3	1,173.0	1,132.9	1,188.9	1,306.6	1,271.4	-35.2	-2.7%	82.5	6.9%
საოპერაციო სალდო	293.9	-44.8	-65.7	12.5	11.4	-72.0	-83.5	-730.1%	-84.5	-676.2%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	690.1	617.8	538.7	392.9	525.1	668.5	143.4	27.3%	275.6	70.2%

ზრდა	767.6	698.5	773.7	680.2	750.1	758.5	8.4	1.1%	78.3	11.5%
კლება	77.5	80.6	235.0	287.3	225.0	90.0	-135.0	-60.0%	-197.3	-68.7%
მთლიანი სალდო	-396.2	-662.6	-604.4	-380.4	-513.6	-740.5	-226.9	44.2%	-360.2	94.7%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-172.2	347.3	560.4	560.9	317.0	419.3	102.3	32.3%	-141.6	-25.2%
ზრდა	277.1	419.5	650.4	632.8	407.0	509.3	102.3	25.1%	-123.5	-19.5%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	147.3	325.0	188.0	0.0	0.0	0.0	#DIV/0!	-188.0	-100.0%
სესხები	118.5	105.8	158.2	181.2	222.9	319.9	97.0	43.5%	138.7	76.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	158.6	166.4	167.2	263.6	184.1	189.4	5.3	2.9%	-74.2	-28.2%
კლება	449.3	72.1	90.0	71.9	90.0	90.0	0.0	0.0%	18.1	25.2%
ვალუტა და დეპოზიტები	409.4	0.0	0.0						0.0	#DIV/0!
სესხები	39.9	72.1	90.0	71.9	90.0	90.0	0.0	0.0%	18.1	25.2%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0							
სხვა დებიტორული დავალიანებები*	0.011	0.0	0.0	0.0					0.0	-100%
ვალდებულებების ცვლილება	224.0	1,009.9	1,164.9	941.2	830.6	1,159.8	329.2	39.6%	218.6	23.2%
ზრდა	737.9	1,569.7	1,624.1	1,361.4	1,275.0	1,660.0	385.0	30.2%	298.6	21.9%
საგარეო	588.4	996.9	1,124.1	1,046.7	1,075.0	1,360.0	285.0	26.5%	313.3	29.9%
საშინაო	149.5	572.8	500.0	314.7	200.0	300.0	100.0	50.0%	-14.7	-4.7%
კლება	513.9	559.7	459.2	420.2	444.4	500.2	55.8	12.6%	80.1	19.1%
საგარეო	454.2	503.4	396.0	370.4	360.0	415.0	55.0	15.3%	44.6	12.0%
საშინაო	59.6	56.3	63.2	49.7	84.4	85.2	0.8	1.0%	35.5	71.3%

დანართი 2: ასიგნებების ცვლილება (2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი და 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი I) მხარჯავი დაწესებულებების დონზე (ათასი ლარი)

ორგანიზ. კოდი ¹¹	დასახელება	2015 წელი ფაქტი	2016 წელი გეგმა	2016 წ. 8 თვე / 2016 წ. გეგმა (%)	2017 წელი პროექტი I	2017 წ. პროექტი I / 2016 წ. გეგმა	
						ნომინალური ცვლილება	% ცვლილება (ზრდის ტემპი)
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	50,177	60,032	64.8%	60,131	99	0.2%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	11,259	9,800	93.6%	9,800	0	0.0%
03 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1,682	2,000	59.5%	1,800	-200	-10.0%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	23,537	20,000	61.5%	17,000	-3,000	-15.0%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	12,974	14,517	69.0%	14,517	0	0.0%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	23,360	58,528	42.9%	60,500	1,973	3.4%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,357	3,400	61.7%	3,410	10	0.3%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	6,597	7,650	55.4%	7,700	50	0.7%
09 00	საერთო სასამართლოები	50,219	52,000	61.5%	55,000	3,000	5.8%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,578	2,700	57.2%	2,700	0	0.0%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	853	900	59.5%	850	-50	-5.6%

¹¹ ორგანიზაციული კოდები წარმოდგენილია 2017 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის (I) მიხედვით.

ორგანიზ. კოდი ¹¹	დასახელება	2015 წელი ფაქტი	2016 წელი გეგმა	2016 წ. 8 თვე / 2016 წ. გეგმა (%)	2017 წელი პროექტი I	2017 წ. პროექტი I / 2016 წ. გეგმა	
						ნომინალური ცვლილება	% ცვლილება (ზრდის ტემპი)
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	676	700	62.5%	685	-15	-2.1%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	799	800	69.3%	800	0	0.0%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში	669	800	63.9%	800	0	0.0%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში	638	650	64.0%	635	-15	-2.3%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	609	650	60.2%	615	-35	-5.4%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ზორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში	507	650	51.9%	650	0	0.0%

ორგანიზ. კოდი ¹¹	დასახელება	2015 წელი ფაქტი	2016 წელი გეგმა	2016 წ. 8 თვე / 2016 წ. გეგმა (%)	2017 წელი პროექტი I	2017 წ. პროექტი I / 2016 წ. გეგმა	
						ნომინალური ცვლილება	% ცვლილება (ზრდის ტემპი)
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	896	1,000	59.7%	990	-10	-1.0%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში	632	700	53.3%	675	-25	-3.6%
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4,604	3,100	106.3%	3,100	0	0.0%
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,699	1,200	72.8%	1,200	0	0.0%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,681	1,350	84.5%	1,350	0	0.0%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	112,711	90,000	58.9%	85,000	-5,000	-5.6%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	123,788	95,100	81.4%	97,450	2,350	2.5%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	898,398	950,000	53.6%	1,086,400	136,400	14.4%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	95,101	70,528	96.7%	65,600	-4,928	-7.0%
27 00	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	147,251	153,800	55.3%	146,000	-7,800	-5.1%

ორგანიზ. კოდი ¹¹	დასახელება	2015 წელი ფაქტი	2016 წელი გეგმა	2016 წ. 8 თვე / 2016 წ. გეგმა (%)	2017 წელი პროექტი I	2017 წ. პროექტი I / 2016 წ. გეგმა	
						ნომინალური ცვლილება	% ცვლილება (ზრდის ტემპი)
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	89,499	110,000	63.6%	105,600	-4,400	-4.0%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	679,707	670,000	70.1%	743,200	73,200	10.9%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	593,666	595,000	64.1%	585,000	-10,000	-1.7%
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	12,400	15,000	47.6%	14,000	-1,000	-6.7%
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	824,658	975,190	60.1%	1,025,000	49,810	5.1%
33 00	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	108,494	97,000	93.2%	96,450	-550	-0.6%
34 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	73,586	85,000	72.7%	85,000	0	0.0%
35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2,906,169	3,162,000	66.6%	3,330,000	168,000	5.3%
36 00	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო	149,741	135,000	102.0%	121,000	-14,000	-10.4%
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	314,332	321,350	57.0%	238,140	-83,210	-25.9%
38 00	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	37,608	42,100	66.0%	37,950	-4,150	-9.9%
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	102,150	90,000	97.8%	98,275	8,275	9.2%
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	55,908	55,000	62.8%	55,000	0	0.0%

ორგანიზ. კოდი ¹¹	დასახელება	2015 წელი ფაქტი	2016 წელი გეგმა	2016 წ. 8 თვე / 2016 წ. გეგმა (%)	2017 წელი პროექტი I	2017 წ. პროექტი I / 2016 წ. გეგმა	
						ნომინალური ცვლილება	% ცვლილება (ზრდის ტემპი)
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	5,300	4,500	83.4%	4,500	0	0.0%
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	41,086	44,100	67.7%	47,513	3,413	7.7%
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	1,219	2,000	54.9%	1,800	-200	-10.0%
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,729	3,500	75.8%	3,500	0	0.0%
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25,597	25,000	71.7%	25,000	0	0.0%
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	3,500	3,500	71.1%	3,000	-500	-14.3%
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	9,000	7,800	69.2%	7,800	0	0.0%
48 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,273	1,300	67.0%	1,300	0	0.0%
49 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	1,765	2,300	51.2%	2,300	0	0.0%
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,061	1,400	48.4%	1,140	-260	-18.6%
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	2,154	2,100	45.6%	1,900	-200	-9.5%
52 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,913	1,300	61.2%	1,300	0	0.0%
53 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	4,387	5,800	49.1%	4,900	-900	-15.5%

ორგანიზ. კოდი ¹¹	დასახელება	2015 წელი ფაქტი	2016 წელი გეგმა	2016 წ. 8 თვე / 2016 წ. გეგმა (%)	2017 წელი პროექტი I	2017 წ. პროექტი I / 2016 წ. გეგმა	
						ნომინალური ცვლილება	% ცვლილება (ზრდის ტემპი)
54 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7,103	7,450	53.0%	5,350	-2,100	-28.2%
55 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	4,197	5,600	67.9%	5,370	-230	-4.1%
56 00	სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	1,085	2,150	34.7%	2,150	0	0.0%
57 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	244	260	66.7%	260	0	0.0%
58 00	სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი	5,145	6,500	41.2%	6,195	-305	-4.7%
59 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	6,851	5,200	64.9%	3,800	-1,400	-26.9%
60 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	37,375	100,000	67.9%	110,000	10,000	10.0%
61 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	3,909	3,850		3,850		
63 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	0	300		0	-300	-100.0%